გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს

შპს „ნაზი"-ის (ს/კ430033206)
დირექტორის ნაზი გაბრიჭიძის

სკოპინგის განცხადება

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 03/01/2023 წლის N21/8323 წერილით მოთხოვნილი ინფორმაციის შესაბამისად წარმოგიდგენთ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ კვალითის დასახლებაში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: 32.12.31.025, 32.12.31.185;) განთავსებული შპს „ნაზი"-ის (ს/კ430033206) საქონლის სასაკლაოს ექსპლუატაციის **სკოპინგის ანგარიშს:**

- სააგენტოში არსებული ინფორმაციით, 2023 წლის 2 მარტს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, შპს „ნაზის" კუთვნილი ობიექტის ინსპექტირების შედეგების თანახმად, სასაკლაოს საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხორციელდებოდა ზედაპირული წყლის ობიექტში - მდ. ყვირილაში და ჩამდინარე წყალში დამაბინძურებელი ნივთიერების რაოდენობა აღემატებოდა საქართველოსმთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №17 დადგენილებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მნიშვნელობებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ, მათ შორის სამსაფეხურიანი სალექარის ეფექტურობის დასაბუთებით;

- იმის გათვალისწინებით, რომ ჩამდინარე წყლის მიმღები ობიექტი (კვალითის დასახლების საერთო სარგებლობის ცენტრალურ შემკრებ საკანალიზაციო ჭაში) წარმოადგენს წყალსამეურნეო სისტემას, ჩამდინარე წყლის ჩაშვება შეთანხმებული უნდა იქნეს აღნიშნული სისტემის მფლობელთან და სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია შეთანხმების შესახებ;

განმარტება:

სკოპინგის ანგარიშში (გვ. 17-19) წარმოდგენილია ინფორმაცია, რომ საწარმოო ჩამდინარე წყლის ჩაშვების წერტილი - (კოორ: X-0355873,Y-4663445) ანუ მიმღები ნაგებობა არის შემკრები საკანალიზაციო ჭა, რომლიდანაც ხორციელდება ჩამდინარე წყლის ჩაშვება წყალარინების სისტემაში და წყალარინების სისტემის საშუალებით ჩაედინება მდ. ყვირილაში. წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემა, წარმოადგენს ინფრასტრუქტურულ ობიექტს და განკუთვნილია ჩამდინარე წყლების გატარებისა და გაწმენდისათვის, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლისაგან ჩამდინარე წყლების მიღებას, გატარებას და დასაშვებ ნორმამდე გაწმენდას. თუმცა სოფელ კვალითის დასახლების წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემებას არ გააჩნია სათანადო მოწყობილობა - ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა ურბანული ჩამდინარე წყლის შეგროვებისა და გაწმენდისთვის. აღნიშნული სისტემა უზურუნველყობს მხოლოდ ურბანული ჩამდინარე წყლის მიღება-გატარებას (მათ შორის სასაკლაოს საწარმოო წყლის) და მდ. ყვირილაში ჩაშვებას.

ამჟამად, საწარმოო წყლის მიმღებ ნაგებობას - შემკრებ საკანალიზაციო ჭას და წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემის მესაკუთრე გაურკვეველია. ადგილობრივი თვითმართველობის მიერ მიმდინარეობს სოფლის წყალარინების სისტემის აღწერა და საკითხის დაზუსტება, ამდენად კომპანიის მხრიდან შეუძლებელია შეთანხმების გაფორმება წყალარინების სიტემის მფლობელთან. სოფელ კვალითის დასახლების ურბანული ჩამდინარე წყლის წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემა არის წლების წინ მოწყობილი.

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„03" 03 2024 წ.
№ 278

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ, ასევე სალექარის ეფექტურობის შესახებ.

- სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. მნიშვნელოვანია დაზუსტდეს ინფორმაცია გარემოსდაცვითი კუთხით შემოთავაზებული, როგორც ტექნოლოგიური, ისე ადგილმდებარეობის გონივრული ალტერნატივების შესახებ, ალტერნატიული ვარიანტების შედარებითი ანალიზით, მათ შორის დადებითი და უარყოფითი მხარეების მითითებით;

განმარტება:

ინფორმაციას გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ, რომელიც გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით წარმოდგენილი იქნება გზშ-ს ანაგრიშის ეტაპზე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად.

დანართი; სკოპინგის ანგარიში 1 ეგზემპლარად და დოკუმენტის ელექტრონული ვერსია.

პატივისცემით,

შპს ,, ნაზის''-ს
(ს/კ 430033206)
დირექტორი: ნაზი გაბრიჭიძე

05 .02.2024 წელი